პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1978 წ.
№ 221 (6276)
ოთხშაბათი
ნოემბერი 15
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფსაბჭოთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი სიამაყე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებობის 60 წელი შეუსრულდა. სიმბოლურია, რომ ეს თარიღი ემთხვევა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, ოქტომბრისა, რომელმაც ფართოდ გაუხსნა ქართველ ხალხს გზა ახალი ცხოვრებისკენ, შემოქმედების, აღმშენებლობისა და ეროვნული კულტურის აყვავებისკენ.

ქართველ ხალხს გულითადად უყვარს ცოდნის ციტადელი, სასწავლებელი, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა "უმაღლეს გაწოლებას ჩვენს რესპუბლიკაში, აღორძინა წარსულის მდიდარი კულტურული ტრადიციები და გახდა თანამედროვე მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზრის ჭეშმარიტი ტაძარი. თბილისის უნივერსიტეტმა, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის ამ მძლავრმა კერამ, თავისი არსებობის მანძილზე ქვეყანას ათი ათასობით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი მოუმზადა...

გუშინ საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა სხდომა, მიძღვნილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 60 წლისთავისადმი.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **პ. გილაშვილი, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარაძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ს. ხაბეიშვილი, ო. ჩერქეზია, უ. შარტავა.**

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **დ. ჩხეიძეშვილმა.**

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ო. ჩერქეზიას.** მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმების ტექსტი თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივისადმი.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიკოსი **ე. ხარაძე,** მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი **ფ. ვოლკოვი,** ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის დეკანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მ. ბოგოლიუბოვი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი **ვ. კუპრაძე,** ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი,** აზერბაიჯანისა და ერევნის უნივერსიტეტების რექტორები, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ფ. ბაგირზადე,** სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ს. ამბარცუმიანი** და სხვ.

სხდომაზე გამოვიდნენ კომენსკის სახელობის ბრატისლავის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **იან კრასნიჩკა** და შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორი **ფეინგლიხ ჰაინეი.**

სხდომაზე შეკრებილნი თბილად შეხვდნენ თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **ა. შანიძეს** გამოსვლას. (საქინფორმი).

„დი-ნა-მო", „დი-ნა-მო"!..

თბილისი, 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 11 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:2 (2:1).

„დინამო": გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩიკაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი; სულაქველიძე, შენგელია.

„ტორპედო": ზარაპინი, პრიგოდა, ყუპიკოვი, ბუტურლაკინი, მირონოვი, პეტრენკო, ფილატოვი, ვასილიევი, იურინი, სახაროვი, ბრაბროსტინი (იაკოვლევი).

მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

გოლები გაიტანეს სახაროვმა (მე-16 წუთზე), გუცაევმა (29), შენგელიამ (24), პეტრენკომ (77).

გამარჯვება!

გმირობა, დაუვიწყარი სპექტაკლი, მეცნიერული აღმოჩენა, ხელოვნებისა და ლიტერატურის უკვდავი შედევრები — ყველაფერ ამას ერთი, ყველაზე ტკბილი და ყოველისმომცველი სიტყვა გამარჯვება ჰქვია.

საოცარი გრძნობაა — თავიდ ფეხბურთელ გაგიელის, დაგბურძგლავს, მერე ერთ დიდ გორგლად შეიკვრება, დაგუბდება, დაგუბდება და ან აღტაცებად იქცევა, ან ენით უთქმელ სიხარულად, ანდა ცრემლში იპოვის გამოსავალს. ათმაგია ეს აღტაცება და სიხარული თუ გამარჯვება შენიანის ხელოვნელია.

სპორტი გამონაკლისი არ არის, რადგან სპორტსაც თან სდევს გაცდა, მუდამ სასურველი და ნანატრი, გამარჯვებას რომ მოაქვს.

იმ მატჩის შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული, თბილისის ქუჩებს კი რაღაც უცნაურმა ღელვამ დაუარა.

არა მწამს ლაბირინთებში შეფასებული გამარჯვებისა. ხალხია ყველაზე ნაღდი და ყველაზე მართალი შემფასებელი, ყველაზე უწინ ხალხი გრძნობს და ხალხივე ამბობს სატკივარსაც და სასიხარულოსაც. თქვა კიდეც.

ალბათ იმიტომ თუ იყო. ყურთამდე მიღებული ყველა სახლის ფანჯარა, იმიტომ თუ დასთამაშებდა სახეებს სითბო და ღიმილი, იმიტომ თუ ერთვოდა ოჰახიან „დინამო", „დინამოს" გაურანდავი და წკრიალა ბავშვური ხმები.

ის თავისთავად არასდროს მოდის. არც ახლა მოსულა. ქვეყნის უპირველესი გუნდის სახელი ღირსეული ჯილდო გამოდგა „დინამოს" წლევანდელი თავდაუზოგავი ბრძოლისა, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა ერთიანი ლტოლვისა, რომ ქართული ფეხბურთი მისთვის შესაფერ სიმაღლეზე იხილათ.

ჩვენს ფეხბურთელებს მაყურებელი არასდროს აკლდა. ახლა კი გვირგვინდადგმულთა საკურთხებლად მოუსვლელობა მკრეხელობა იქნებოდა მუდამ სულგადალეული გულშემატკივრისთვის.

11 ნოემბერს „დინამოს" სტადიონზე, სტადიონზე, სადაც ჯერ კიდევ ტრიბუნებს და დიდხანსაც დარჩება იმათი შემართება და ოცნება, ვინც პირველი ხნული გაავლო, ვისაც ძალღონეთ მარჯვენით ეჭირა ქართული ფეხბურთის გუთანი, მათი სახელები, ვისაც ერთი თავად საოცნებოდ ჰქონდა გამხდარი გამარჯვება, სათითაოდ გამოდიან ვალმოხდილი, მართლაცდა ოქროს ბიჭები.

უნდა ითქვას, რომ „ტორპედომ" კარგი მეტოქეობა გაუწია ახალ ჩემპიონს. ავტოქარხნელებმა ამ მატჩში ხელი აიღეს ბოლო ხანებში შეთვისებულ თამაშის მანერაზე და სწორადაც მოიქცნენ. მამაყურებელმა მინდორზე ძველ „ტორპედო" იხილა, გუნდი, რომელიც თითქმის ყოველთვის „ღია" ფეხბურთს თამაშობდა.

ლამაზი იყო გოლებიც, ლამაზი იყო მთლიანად მატჩი და მისი ფინალიც — ტრიბუნის გუგუნში სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" საპატიო წრე შემოუარა.

ჩათავდა წლევანდელი წლის უკანასკნელი მატჩიც და კარგა ხნით მიჩუმდება მწვანე მინდორი, ახალი საფეხბურთო ბრძოლების მოლოდინში გაირბენს ზამთრისპირა დღეები, დეკემბერი და იანვარი... მერე კი გაზაფხულიც დადგება. ზამთრის გარინდებას ჩამოიბერტყავს გულშემატკივარი, ისევ მომძლავრდება საფეხბურთო ცხოვრება, ისევ ჩაიბუდებს ათასთა გულში ღელვა, მოლოდინი და იმედი, ისევ მოტივტივდება ოცნებით შებურული სიტყვა გამარჯვება!

სურათებზე: საკავშირო ტურნირში გამარჯვებული თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობა: სხედან — რ. ჩელებაძე, ნ. კაკილაშვილი, გ. ჯობაძე, ვ. კოპალეიშვილი, ა. მინაშვილი, დ. მუჯირი; დგანან — გ. თავაძე, ო. ბაბელია, გ. ჭილაია, ტ. დურდიაძე, ნ. ხიზანიშვილი; გარლვევაზეა ნ. კაკილაშვილი; დინამოელ დუბლიორებს გამარჯვება პირველებმა მოსკოვის ტორპედოელებმა მიულოცეს.

ა. კოტორაშვილისა და კ. შანიძის ფოტოები.

დიდ გამარჯვებას ულოცავენ

□

ნოემბრის სადღესასწაულო დღეები ჩემთვის ორი უჩვეულო მოვლენით აღინიშნა: თანამემამულეთა, თბილისის დინამოელთა საფეხბურთო ოლიმპზე ასვლას დაემთხვა ჩემი შრომის დიდი აღიარებაც — სახელმწიფო პრემიის მონიჭება.

კინოფილმ „მიმინოს" დამდგმელი რეჟისორის თვალით თუ შევხედავთ თბილისის „დინამოს", შეიძლება იგივე ითქვას, რასაც „მიმინოზე" ამბობენ: ეს არის მეგობრული, ლამაზი გუნდი, რომელიც ყველას ანიჭებს სიამოვნებას.

მაღლობა ბიჭებს ასეთი სიამოვნებისთვის!

გიორგი დანელია,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი.

●

როგორც მსოფლიოში ყველაზე უფრო ჭკვიანმა და გამოცდილმა „დირექტორმა", თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სატელევიზიო თეატრი „13 სკამი" ყოველთვის როდი გამოირჩეოდა წესრიგით. ერთადერთი რასაც მივაღწევ, ის იყო, რომ „13 სკამის" ქალთა სქესის წარმომადგენლები მხურვალედ უჭერენ მხარს „სპარტაკს"... მიშულინს, სპარტაკმა კი ჭკარგა ხნის წინათ გულით შეიყვარა ყველაზე ელეგანტური გუნდი, რომელსაც თბილისის „დინამო" ჰქვია. 5 ნოემბერს ტრესტისადმი გაცემულ ჩემს ყველაზე მკაცრ გრძანებაში სწერია: „თბილისის „დინამოს" ყველა ფეხბურთელი — ჩემპიონი ჩაირიცხოს სატელევიზიო თეატრის „13 სკამის" წევრად".

კვლავ წარმატებით გეველოთ ბიჭებო! ადამიანები ხომ არასდროს იქნებიან სახარულისგან!

სპარტაკ მიშულინი,
რუსეთის ფედერაციის დამსახურებული არტისტი.

●

გული მტკივა ფეხბურთელი რომ არ გავხდი, თუ კი პირიქით მოხდებოდა, აუცილებლად თბილისის „დინამოში" ვითამაშებდი და სხვაგან არსად!

რომ მკითხონ, შეიძლება თუ არა პაროდიის შექმნა ახალ ჩემპიონებზე, ვუპასუხებდი — არა! იმიტომ, რომ მათ უნდა მისწერო მხოლოდ სასიყვარულო წერილები, რასაც სიამოვნებით ვაკეთებ.

თქვენი მოსიყვარულე
გენადი ხაზანოვი.

●

აქტიორები და ფეხბურთელები ყველაზე ახლობელი პროფესიის ადამიანები არიან. ერთნიც და მეორენიც ვთამაშობთ.

ვახტანგოველთა სახელით ვულოცავ თბილისის „დინამოს" გუნდის მთავარ „რეჟისორს" ნოდარ ახალკაცს და მის ბრწყინვალე „დასს" დიდებული სპექტაკლის შექმნას, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე უჩვეულო წარმატებით მიდიოდა ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. ყოჩაღ, თქვენ!

მიხეილ ულიანოვი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

საქართველოს ცურვის ფედერაციის პლენუმი

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლისნო სპორტული კომპლექსის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველოს ცურვის ფედერაციის გაფართოებული პლენუმი.

დღის წესრიგში ორი მთავარი საკითხი იდგა: „საქართველოში ცურვის განვითარების მდგომარეობა“ და „სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მზადების მიმდინარეობა“.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი **მ. ამილახვარი.**

— საქართველოს ისეთი მოცურავეები, როგორებიც იყვნენ და არიან ბ. ნიკიტინი, ა. ტუტაკაევი, ა. ანტონიანი, ა. ფუნიკოვი, თ. ლეკვეიშვილი, ი. ომელჩენკო, ი. კუშპელიოვი და სხვები, წარმატებით იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე — აღნიშნა მან. ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობენ ისეთი წამყვანი მწვრთნელები, როგორებიც არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ლ. იოსკიმიდი და მ. ტატიშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვ. იუხნევიჩი, ი. კოფმანი, კ. პოტაპოვი, ა. საფრონოვი, გ. კალანდაძე, მწვრთნელები კ. რეშეტნიკი, ლ. ვეჩხაზერი...

— უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში მომზადდა ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 22 სპორტის ოსტატი. საქართველოს მოცურავეებმა ამ ხნის მანძილზე დაამყარეს 1 ევროპის, 3 საკავშირო და 30-ზე მეტი რესპუბლიკური რეკორდი.

მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოცურავეთა ოსტატობა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს და ნიადაგ ჩამორჩება საერთო საკავშირო დონეს. ამასთან, ეს ჩამორჩენა წლიდან წლამდე მატულობს. სწორედ ამან განაპირობა მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი მოცურავეების უკიდურესად ცუდი გამოსვლა. არადა, ტაშკენტში მოპოვებული ქულები, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაშიც გვერცხვება.

ტაშკენტში საქართველოს ნორჩმა მოცურავეებმა 243,5 ქულა მოაგროვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში XI ადგილი (ბიჭებმა VIII, გოგონებმა XIV) დაიკავეს. ჩვენი მოცურავეები უზბეკეთის ნაკრებს 400, ხოლო ყაზახეთის წარმომადგენლებს 200 ქულით ჩამორჩნენ. არადა, სწორედ ეს რესპუბლიკებია ახლა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ჩვენი მთავარი კონკურენტები.

დღეს საქართველოში მოცურავეთა აღზრდას სპეციალისტთა დიდი ჯგუფი, 200-მდე კაცი ემსახურება. დამეთანხმებით, ეს ფრიად შთამბეჭდავი ციფრია, მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის ნაკრებს შევსებას მხოლოდ 15-20 მწვრთნელი აძლევს.

საკითხავია, დანარჩენები, რაღას აკეთებენ? ეჭვგარეშეა, რომ დანარჩენი „სპეციალისტების“ მომზადების დონე ორმოციანი-ორმოცდაათიანი წლების დონეზე თუ დგას მხოლოდ. ისინი უდარდელად, აუღელვებლად მუშაობენ, ხელფასს იღებენ, მაგრამ მათგან სარგებელი არაფერია.

შარშან საქართველოს სპორტკომიტეტმა პერიფერიებში ცურვის მდგომარეობის საკითხები შეისწავლა და აღმოჩნდა: ბევრმა ჩვენმა დამსახურებულმა მწვრთნელმა არ იცის (ან არ სურს იცოდეს), რომ ცურვაში მუშაობა აგებული უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული გეგმით, რომ მწვრთნელებს უნდა ჰქონდეთ თვიური და წლიური გრაფიკები, სხვა დოკუმენტაცია. ამის ნაცვლად მათ ერთხელ და სამუდამოდ შედგენილი „შპარგალკები“ აქვთ, რომლის მიხედვითაც დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე მუშაობენ.

როგორც ცნობილია, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები ის ფუნდამენტია, რომელზედაც უნდა აიგოს უმაღლესი სპორტული დაოსტატების მუშაობა. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები, მცირე გამონაკლისის გარდა, ცუდად მუშაობენ. ამ სკოლების ხელმძღვანელები ამას ხსნიან იმით, რომ საცურაო აუზები ცუდად მუშაობენო. თუ ეს ასეა, მაშ როგორ უნდა აიხსნას „შრომითი რეზერვების“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის უსუსური მუშაობა, რომელიც წლიდან წლამდე უარესდება?! ამ სკოლას ასეთი ცუდი მუშაობისთვის შარშან ჩამოერთვა წოდება „სპეციალიზებული“, არადა, „შრომითი რეზერვების“ აქვს ზამთრის 25-მეტრიანი საცურაო აუზი თავისი გათბობით და „საჟუმპალაოც“ კი. ან კიდევ, რით უნდა აიხსნას თბილისის განთლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მუშაობის ხარისხის დაცემა? მართალია, მათ ხელს უშლიდა აუზის გაჭიანურებული რემონტი, რომელიც ახლაც გრძელდება. ამის გამო აუზი თავისი დამადების დღიდან უმეტესად უქმად იდგა, ვიდრე მუშაობდა. მიუხედავად ამისა, როცა ამ სკოლაში მუშაობდნენ მწვრთნელები კ. რეშეტნიკი, კ. პოტაპოვი და მ. საყევარიშვილი, მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდა და რესპუბლიკის ნაკრებშიც ბევრი აქაური მოცურავე იყო.

ამ მხრივ კარგი მუშაობის ორი მაგალითი მინდა მოვიყვანო „დინამოსა“ და „განთიადის“ მსგავსი სკოლების პრაქტიკიდან. „დინამოს“ სპორტსკოლას სტადიონის რეკონსტრუქციის თიოქმის 9 წლის მანძილზე საკუთარი აუზი აღარ ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსკოლის სახელი შეინარჩუნა. იგივე შეიძლება ითქვას განთიადელთა მისამართითაც. მათ ფაბრიკა-ქარხნების ისეთ პრიმიტიულ აუზებში უხდებათ ვარჯიში, რომლებიც ზამთრობით მწყობრიდან გამოდის. „განთიადის“ სპორტსკოლაც ჩვენი ქვეყნის მოწინავეთა შორისაა.

აღსანიშნავია, რომ „დინამოსა“ და „განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების აღსაზრდელთა რაოდენობა რესპუბლიკის ნაკრების 90 პროცენტს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ფართო გაქანება ჰპოვა საცურაო აუზების მშენებლობამ. თბილისში სანაპიროზე აშენდა დიდებული საცურაო აუზების კომპლექსი, გურჯაანში აშენდა კარგი სპორტული კომპლექსი, რომელსაც საცურაო აუზიც აქვს. რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში შენდება ან უკვე აშენდა საცურაო აუზები.

დღეისთვის საქართველოს 30 ქალაქსა და რაიონში 45 საცურაო აუზია. მომეცადინეთა რიცხვი 12446 კაცს შეადგენს. მათ შორის 5536 თანრიგოსანია, 216 — პირველთანრიგოსანი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ხოლო 26 — სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. შარშან რესპუბლიკაში მომზადდა 3576 თანრიგოსანი, 145 პირველთანრიგოსანი და ოსტატობის კანდიდატი, 11 სპორტის ოსტატი.

როგორც ხედავთ, ციფრები შთამბეჭდავია, მაგრამ, რა იმალება მათ მიღმა?

დღეისთვის სრულწლიურად ვარჯიში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ თორმეტ საცურაო აუზში მიმდინარეობს. მათი უმრავლესობა ღიაა. სამწუხაროდ, ამ ბაზებს გასახდელებიდან აუზამდე მისაცური დერეფნები არა აქვთ, რის გამოც სპორტსმენებს წინ და უკან ფეხით უხდებათ სიარული. ეს კი ჩვენს მოცურავეებს ზამთრობით ავადმყოფობის ფასად უჯდებათ. ბევრ აუზს არ გააჩნია ფილტრები, რიგიანად არ მუშაობს აუზში წყლის გასათბობი და ცენტრალური გათბობის სისტემები. ამ აუზების გამტარუნარიანობა 3,5 ათას კაცს შეადგენს. დანარჩენი 33 აუზის უმრავლესობა სახანძრო დანიშნულებისაა და ბუნებრივია, ვერავითარ სპორტულ მოთხოვნილებას ვერ პასუხობს (მათში ვარჯიში მხოლოდ ზაფხულობით შეიძლება). ამავე დროს ისეთი აუზების მშენებლობა, რომლებშიც სრულწლიური ვარჯიში შეუძლებელია, კვლავაც გრძელდება. გვიხსენოთ სულ ახლახანს თერჯოლაში აშენებული საცურაო აუზების კომპლექსი, რომელსაც არა აქვს არც ფილტრები, არც წყლის გათბობის სისტემა.

ახლა რამდენიმე სიტყვა სოხუმის დოსაფის საცურაო აუზზე. ამ აუზის გაჭიანურებულ რეკონსტრუქციაზე აგერ უკვე 20 წელია კრიტიკული წერილები იბეჭდება როგორც რესპუბლიკურ, ისე ცენტრალურ პრესაში. ამ აუზს წილად ხვდა „პატივი“ სატირულ კინოჟურნალ „ფიტილშიც“ მოხვედრილიყო. საინტერესოა, დოსაფის აუზის რეკონსტრუქციაზე პასუხისმგებელი პირები ხომ არ აპირებენ, რომ მუშაობა მესამე ათწლეულშიც გააგრძელონ?

თუ გავიხსენებთ საქართველოს მოცურავეთა სამზადისს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის, ვნახავთ, რომ რესპუბლიკის ნაკრებში აფხაზეთის ბევრი წარმომადგენელი იყო. დღეს კი რესპუბლიკის ნაკრებში აფხაზეთიდან ერთი კაციც კი არა გვყავს. ჩვენი კოლეგები აფხაზეთიდან თავს იმართლებენ, რომ ასეთი საგალალო მდგომარეობა დოსაფის აუზის უქონლობის გამოა. [illegible] ბევრ-ერთი რგოლია.

მოცურავეები ტურბაზა „ვაკეში“ დაბინავდნენ. თითო ოთახში ორ-ორი სპორტსმენი ცხოვრობდა, ისინი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში იკვებებოდნენ, ხოლო ვარჯიშები დღეში ორჯერ ვაკის საცურაო აუზში მიმდინარეობდა. დღეში ერთხელ კი საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას ეთმობოდა დრო. ვარჯიშებს კონტროლს უწევდნენ რესპუბლიკის № 3 უმაღლესი დოსტატების სპორტსკოლის მეთოდისტები. ყოველივე ამან კეთილისმყოფელი გავლენა იქონია მზადების იმ ეტაპზე.

ამას გარდა, ჩატარდა მოცურავეთა და მათი მშობლების კრება, სადაც გადაწყდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა წვრთნა-ვარჯიშის, სკოლაში მეცადინეობების, კვებისა და სხვა ამოცანები.

შეკრების შემდეგ გათვალისწინებული იყო თბილისის პირველობის გამართვა საცურაო მრავალფეროვნებაში. ამ შეჯიბრების შედეგები ბევრად აღემატება შარშან გამართული ანალოგიური ასპარეზობის მაჩვენებლებს. ახლა ნაჩვენები იქნა 6 სპორტის ოსტატის შედეგი, ხოლო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნ. მოროზოვმა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 54,9.

ერთი რამ ცხადია, ამ მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, მუშაობა გაცილებით მეტი გვმართებს.

როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი უფერული გამოსვლა გავაანალიზეთ, მრავალი ხარვეზი აღმოჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა არ იციან, თუ როგორი შედეგები უნდა დაუგეგმონ თავიანთ აღსაზრდელებს და როგორ უნდა მიიყვანონ ისინი მთავარ სტარტებამდე.

ახლა მოცურავეებს შედეგები ეტაპების მიხედვით დაკუგეგმეთ და ეს საშუალებას მოგვცემს დროულად შევიტანოთ კორექტივები მათ მომზადებაში.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში კარგი პირობები გვაქვს წყალში ვარჯიშისთვის, სადაც თითოეულ ბილიკზე 2-3 სპორტსმენი ცურავს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით სპორტდარბაზზე. იქ სულ ხუთი ტრენაჟერი გვაქვს, რაც ძალზე ცოტაა. კიდევ 20-25 ტრენაჟერი და სხვა ინვენტარია საჭირო. ეს საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს, თორემ ახლა დაკარგულის მომავალში აღდგენა შეუძლებელი იქნება. აქვე უნდა ითქვას, რომ ის სპორტდარბაზი სპორტდარბაზი კი არა, ფაქტიურად აუზის ჰოლია მეორე სართულზე. იგი არც თავისი ფართობით პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

საგანგაშოა ჩვენი ბრასისტების მწვრთნელთა ბრიგადის მუშაობაც. დღეს საქართველოში ამ სტილით მოცურავე არც ერთი პერსპექტიული სპორტსმენი არ გვყავს არც ქალებში, არ ვაჟებში.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე კარგად გამოსვლისთვის შედგენილი და დაგეგმილია 1978-79 წლების შეჯიბრებებისა და შეკრებათა კალენდარი.

• • •

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე **ზ. ლომაძე,** საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ვამგე **ი. ბოჭორიძე,** სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ცურვის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ვ. აგალცოვი,** რესპუბლიკის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯაიანი,** თბილისის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **გ. უირმელაშვილი,** „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ულენტი,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ი. კუშპელიოვი,** მწვრთნელები და სპეციალისტები.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს ცურვის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრმა **რ. კონცელიძემ.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სტატისტიკა და სინამდვილე

ერთიანი ფიზიკურ-ტექნიკური ...

[illegible] ...ლენ ... ...ენ მიმა... ...ენ ...

[illegible]

დიდი აღიარება

ნონა გაფრინდაშვილი ვაჟთა საერთაშორისო პირველი საერთაშორისო დიდოსტატია

ნონა გაფრინდაშვილმა ქალთა საჭადრაკო სამყაროში დიდი ხანია დაიპყრო ყველა სიმაღლე და მწვერვალი, მისი გვარის გასწვრივ ხშირად იწერება სიტყვა პირველი. ნონა პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელსაც ქალთა შორის საბჭოთა კავშირის დიდოსტატის, ხოლო მანამდე ვაჟთა შორის საბჭოთა ოსტატის წოდება მიენიჭა.

და აი, ამ დღეებში, ბუენოს აირესიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. ფიდე-ს კონგრესმა ნ. გაფრინდაშვილს ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიაკუთვნა. ჭადრაკის ისტორიაში ესაა უპრეცედენტო შემთხვევა, როცა სპორტსმენი ქალი ვაჟთა უმაღლესი საჭადრაკო წოდების მფლობელი გახდა. ეს ნ. გაფრინდაშვილის დიდი ღვაწლისა და ამაგის დაფასებაცაა, რაც მას ხაჭადრაკო ხელოვნების განვითარებაში მიუძღვის.

მსოფლიოს ხუთგზისა და მსოფლიოს ოლიმპიადების ექვსგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ.გაფრინდაშვილის სპორტული ბიოგრაფია ის სიმბოლური ნიშანსვეტია, რომელსაც მუდამ უსწორებდნენ და გაუსწორებენ მხარს ქართველი (და არა მარტო ქართველი) საჭადრაკო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები.

* * *

სურათზე: ნონა გაფრინდაშვილი ვაჟიშვილ დათოსთან ერთად.

თ. ქიქავას ფოტო.

ᲥᲐᲓᲠᲐᲙᲘ

დარჩა დასკვნითი შეხვედრები

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. (არგენტინა). ვაჟთა 23-ე საჭადრაკო ოლიმპიადის დასკვნითი, XIV ტურის წინ, გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ უნგრეთის გუნდს 34 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება სსრ კავშირის კოლექტივი (გადადებულ პარტიაში ვასანინი დაუზავდა კანადელ პასეკიკის). აშშ-ს გუნდმა 33 ქულა მოგროვა.

იმის გამო, რომ ბრძოლა I ადგილისთვის უკიდურესობამდე გაძაბულია, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს დასკვნით ტურზე არ დაუშვან მაყურებლები დარბაზის იმ ნაწილში, სადაც ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლი გუნდები ითამაშებენ.

* * *

ფიდე-ს კონგრესმა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა ოც მოჭადრაკეს, მათ შორის ვ. ბაგიროვს (ბაქო), ი. დორფმანს, ა. მიხალჩიშინს (ორივე — ლვოვი), ლ. ბალატნიკს (ოდესა). 39 მოჭადრაკემ მიიღო საერთაშორისო ოსტატის წოდება.

ᲛᲝᲥᲔᲓᲠᲔᲑᲖᲔ, ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲠᲬᲔᲑᲖᲔ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ აშშ-ის ფერებში გამოდიოდნენ აღიარებული ვარსკვლავები კრის ევერტი და ბილი ჯინ კინგი, მისი შეხვედრა ინგლისის გუნდთან უაიტლის თასის ტრადიციულ, რიგით 50-ე გათამაშებაში, მასპინძლების — ინგლისელების გამარჯვებით დამთავრდა. წყვილთა გადამწყვეტ შეხვედრაში უიმბლდონ-77-ის ჩემპიონმა ვირჯინია უეიდმა და სიუ ბარკერმა სძლიეს ამერიკელთა ლეტს ევერტსა და შრივერს — 6:4, 5:7, 6:4.

ᲞᲐᲠᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „დინამოს“ გუნდმა გამარჯვებით დაიწყო ტურნე ტაილანდში. ანგარიშით 118:88 (61:34) მან დამარცხა ქვეყნის ჩემპიონი „ტაი“.

ᲮᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ქალაქ დებრეცენში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში ლიდერობენ უნგრეთი და რუმინეთის გუნდები, რომლებსაც ორ-ორი გამარჯვება აქვთ. საბჭოთა ხელფურთელებმა მეორე წრეში წააგეს ბულგარელებთან — 18:19 (11:9) და ჯერჯერობით ბოლოს ადგილზე არიან.

ᲤᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ლიგის მრრიგ მატჩში ბერლინის ნაკრებმა ანგარიშით 4:3 (2:2) მოგება გერ-ის გუნდს, შეედგმა ... ...

დღითიდღე იზრდება და მხრებს შლის ოლიმპიური მოსკოვის მშენებლობანი. მწყობრში შედის ან დასასრულს უახლოვდება ახალი ნაგებობები ლუჟნიკში, იზმაილოვოში, მიჩურინის პროსპექტზე, ზუბოვის ბულვარზე, მშვიდობის პროსპექტზე.

ეს სურათი იზმაილოვოშია გადაღებული. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ი. რემიზოვი ხელმძღვანელობს, სასტუმროს კომპლექსის მშენებლობაზე მუშაობს.

ვ. ლარინის ფოტო.



პრიმო ნებიოლოს აზრით...

ტოკიო. „დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები სპორტისა და ახალგაზრდობის კიდევ ერთი დღესასწაული იქნება, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, იტალიელმა პრიმო ნებიოლომ, რომელიც ტოკიოში „ოქროს მილის“ შეჯიბრებას დაესწრო. — ყველა სპორტისმოყვარულმა კარგად იცის სსრ კავშირის მიღწევები სპორტში, უმაღლესი რანგის შეჯიბრებების ბრწყინვალე ორგანიზაცია. ამიტომ მითქმა-მოთქმა მომავალ ოლიმპიადაზე რაიმე სიძნელეებთან შეხვედრის თაობაზე, სულელური მონაჩმახია“.

ნებიოლოს აზრით, ოლიმპიადისთვის მზადება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ბევრი სპორტსმენი ერთმანეთს ჯერ მოსკოვის სპარტაკიადაზე შეხვდება, შემდეგ მეხიკოს უნივერსიადაზე, რის შემდეგ გაირკვევა ვინ როგორ სპორტული ფორმაშია ოლიმპიადის წინ. სარმი ისაა, რომ ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა 80 პროცენტი სტუდენტია, ხოლო მეხიკოს უნივერსიადაში ისპარეზებს მრავალი ქვეყნის გუნდები. ამ ასპარეზობისთვის მზადება თავისი გაქანებით მხოლოდ ოლიმპიურს თუ ჩამოუვარდება, ძლიერ გუნდებს ელოდებიან სსრ კავშირიდან, აშშ-დან, კუბიდან, მექსიკიდან, კორეის სახალხო რესპუბლიკიდან. საკმარისია ამ ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენების მონაწილეობა, რომ ამ შეჯიბრებამ საპატიო ადგილი დაიკავოს საერთაშორისო კალენდარში.

— პრიმო ნებიოლომ, რომელიც აგრეთვე, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტია, ილაპარაკა იმაზე თუ როგორ ემზადებიან იტალიელი სპორტსმენები მოსკოვის სტარტებისთვის.

— უპირველესად, ჩვენმა ყველა „ვარსკვლავმა“ პირობა დადო, რომ სპორტს თავს არ დაანებებს ოლიმპიადამდე. მათ შორის — მენვამ და სიმეონმა. ისინი შეძლებენ ოქროს მედლებისთვის ბრძოლას. ამას გარდა, იმედი გვაქვს წყალბურთელების წარმატებისა, რომლებმაც ბოლო დროს შესამჩნევად გაუმჯობესეს თამაშის კლასი, აგრეთვე, კალათბურთელებისა და ფრენბურთელებისა. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ იტალიაში კალათბურთი საკრძნობლად განვითარდა და ოლიმპიადაზე ისპარეზებს გუნდი, რომელიც მანილაში მოსპარეზე გუნდზე ბევრად ძლიერი იქნება. ვცდილობთ გავზარდოთ სპორტსმენთა შედეგები სხვადასხვა შეჯიბრებაში მათი ხშირი მონაწილეობით. ამით აიხსნება ჩვენი მონაწილეობა „ოქროს მილის“ შეჯიბრებაში.

ვიცით კლიმატი, პირობები, რომლებშიც მიმდინარეობს შეჯიბრებები მოსკოვში. ამიტომ სპარტაკიადაზე უშუალოდ სტარტის წინ ჩამოვალთ. გუნდი შეიძლება არ იყოს ყველაზე მრავალრიცხოვანი, მაგრამ მასში შევლენ ყველაზე მეტად განვითარებული სპორტის სახეობათა წარმომადგენლები. პირველ რიგში — ფრენბურთელები, ველოსიპედისტები, მოფარიკაველები. მძლეოსნობაში ჩვენი ახალი „ვარსკვლავია“ ევროპის ჩემპიონი, მორბენალი ვ. ორტისი, რომელსაც დიდი პერსპექტივები აქვს.

ჩვენ კარგად ვიცით საბჭოთა ათლეტების წვლილი ოლიმპიური მოძრაობისა და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების საქმეში, ამიტომ დიდად ვაფასებთ მათ, — თქვა დასასრულ ნებიოლომ — აი, რატომ ვთვლით მოვალეობად ღირსეულად ვიასპარეზოთ სპარტაკიადა-79-ისა და ოლიმპიადა-80-ის შეჯიბრებებში. (საკდესი).

მსოფლიო ჩემპიონი ემზადება

ბერლინი. „ახლა მე მთელი მონდომებით ვემზადები მოსკოვის ოლიმპიადისთვის“, — თქვა თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდმენმა ბარბარა კრაუზემ (გდრ). გდრ-ის ახალგაზრდულ გაზეთ „იუნგე ველტის“ ინტერვიუში 18 წლის სპორტსმენმა აღნიშნა, რომ 1976 წელს იძადმყოფობის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

— ამჟამად ცურავ მკვეთრად „გაახალგაზრდავდა“, — განაცხადა მან, — მაგრამ ვფიქრობ მოსკოვის ოლიმპიადაზე, უკვე 20 წლისა, კიდევ შეეძლებ გავაუმჯობესო ჩემი მიღწეული. ბევრ რამეში ჩემთვის მაგალითი გახდა ოლიმპიური ჩემპიონის, ცნობილი ავსტრალიელი მოცურავის დაუნ ფრეზერის სპორტული გზა. მან ხომ თავისი ბოლო ოლიმპიური ჯილდო 27 წლისამ მოიპოვა. (საკდესი).

ნოდარ დევიძე

ერეკლეანელი (განიცადა ჩვენ[illegible] ... ზოგადოებრივ[illegible] ... ულდნ[illegible] ... ლად გარდაიცვალა რესპუბლიკის სპორტნაგებობათა მშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, ტრესტ „საქკურორტრემშენის“ მმართველი ნოდარ გრიგოლის ძე დევიძე.

კარგმა ინჟინერმა და სპორტსმენმა (იგი ახალგაზრდობაში კრივითა და ფარიკაობით იყო გატაცებული) მთელი თავისი ენერგია რესპუბლიკის სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას მოახმარა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შენდებოდა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟი, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური სპორტული ნაგებობა იქნება ჩვენში, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ორდარბაზიანი კორპუსი საცურაო აუზითა და სასროლეთით, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსი და სხვა ნაგებობანი.

სამწუხაროდ, ბევრი მათგანის დამთავრებას ვერ მოესწრო ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტი, გულისხმიერი და პრინციპული ადამიანი, რომელმაც ასე ბევრს გააკეთა საქართველოს სპორტის წინსვლისთვის და კიდევ რამდენრამ დარჩა განუხორციელებელი...

ნოდარ დევიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების და მეგობრების გულში.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველო, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება.

ᲨᲐᲨᲘ

ყველა ჩვენი უძლიერესი „ასჯერიანელი“ გუშინ შეუდგა ბრძოლას საერთაშორისო შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის ჯილდოებისთვის. მოშაშეთა ერთმა ჯგუფმ ამის უფლება მიიღო წარმატებითი გამოსვლით ქვეყნის წინა პ[illegible] ველობაში, ევროპისა და მსოფლ[illegible]ოს ჩემპიონატებში, მეორემ — ნახევარფინალური შეჯიბრებების ბარიერის გადალახვით.

გამარჯვებისთვის დავაში მონაწილეობენ საერთაშორისო დიდოსტატები ა. განტვარგი (მინსკი), ვ. შჩეგოლევი (მოსკოვი), დიდოსტატები მ. კორხოვი (ოდესა), ა. მოგილიანსკი (რიგა), საერთაშორისო ოსტატები ს. დავიდოვი (ტალინი), მ. შაველი (მინსკი) და სხვები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

უნგრეთი

IX ტურში ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ 40 ათასი მაყურებელი დასწრო დედაქალაქის გუნდების 2 მატჩს. მინდორზე ჯერ გამოვიდნენ მტკ და „უიბეშტ-დოჟა“. 89-ე წუთამდე ანგარიში თანაბარი იყო — 1:1, მაგრამ შემდეგ ფაზეკაშმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი და გამარჯვება მოუტანა „უიპეშტ-დოჟას“ — 2:1. „ჰონვედისა“ და „ფერენცვაროშის“ შეხვედრაში არბიელებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქეები. „ჰონვედმა“ გაიმარჯვა — 5:2.

9 ტურის შემდეგ 14-14 ქულით წინ არიან „ჰონვედი“ და „ფერენცვაროში“.

ჩეხოსლოვაკია

პირველობის ლიდერი — პრაღის „დუკლა“ ბრნოში შეხვდა ჩემპიონს — „ზბროიოვკას“. ლიდერი დამარცხდა — 0:2 და ბრძოლა წამყვან გუნდებს შორის გამწკავდა. „დუკლას“ 13 ქულა აქვს და ახლა მხოლოდ 1 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ბანიკს“ (ოსტრავა), რომელმაც ფრედ (0:0) ითამაშა ბრატისლავაში „სლოვანთან“. 11 ქულა აქვს ბანსკა-ბისტრიცას „დუკლას“, 10-10 — ბრატისლავის „სლოვანსა“ და კოშიცეს „ლოკომოტივს“.



გულგარეთი

IX ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი გაიმართა პლოვდივში, სადაც „თრაკიამ“ მიიღო ცსკა-„სუპტემვრიისკო ზნამე“. სტუმრებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს (2:1) და 13 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ. „ლევსკი-სპარტაკმა“ სოფიაში დაამარცხა სტანკე დიმიტროვის „მარეკი“ — 2:0 და ახლა 12 ქულით მეორე ადგილზეა. 11-11 ქულა მოაგროვეს სოფიის გუნდებმა — „სლავიამ“, „აკადემიკამ“ და „ლოკომოტივმ“.

შოტლანდია

19 ტურის შემდეგ 13-13 ქულით პირველ 3 ადგილს იყოფენ „სელტიკი“ (გლაზგო), „დანდი იუნაიტედი“ და ედინბურგის „ჰიბერნიენი“. 11-11 ქულა აქვ „აბერდინსა“ და „პარტიკ თ[illegible]ლის“.

ავსტრია

10 ტურის შემდეგ 14 ქულით პირველ ადგილზეა ლინცის „ჰა[illegible]ეტი“, რომელმაც გრაცში ფუ[illegible] ითამაშა ადგილობრივ „შტურ[illegible]თან“ — 2:2. ვენაში ერთმანეთ[illegible] შეხვდნენ ძველი მეტოქეები, დ[illegible] დაქალაქის გუნდები „აუსტრია“ და „რაპიდი“. „რაპიდმა“ მოულ[illegible]დნელად სასტიკი მარცხი იგ[illegible] — 1:5.

„დინამოს“ პირველობაზე

თბილისს სკა-ს სტადიონზე დაიწყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ (17 წლის) ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი. ასპარეზობაში 6 კოლექტივი მონაწილეობს: მოსკოვის (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ცარიოვი), კიევის (სპორტის ოსტატი ა. ბიშოვეცი), მინსკის (სპორტის ოსტატი ნ. პოგალნიკოვი), ბრიანსკის (ა. ზიმინი), თბილისისა (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ო. უშვერიძე და ბ. სიჭინავა) და ბათუმის (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლ. ვერულიძე).

შეჯიბრების პირველ დღეს თბილისელებმა დაამარცხეს მოსკოველები — 1:0, კიეველებმა — მინსკელები (2:1), ხოლო ბათუმელებმა — ბრიანსკელები (4:0).

დღეს მეორე ტურის ერთ-ერთი შეხვედრა (თბილისი — მინსკი) გაიმართება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 17 საათზე.



მ ო კ ლ ე დ

ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი ჯ. ფაკეტი, რომელსაც თავისი ქვეყნის რეკორდი ეკუთვნის ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევი მატჩებით (94), აპირებს თავი დაანებოს თამაშს. მან უკვე დადო კონტრაქტი ფირმასთან, რომელიც ფეხბურთელთა დაზღვევის საქმეებს განაგებს. ფაკეტის პირველი კლიენტი გახდა იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი პაოლო როსი. ფაკეტის მეშვეობით ფირმამ როსი დიდი თანხით დააზღვევა.

ნორვეგიის თასის ფინალში „ლილესტრიომმა“ ფინალში დაამარცხა „ბრანი“ (ბერგენი) — 2:1 და დაეუფლა პრიზს.

თურქეთის ნაკრების ტექნიკური მრჩეველი ბოზკანი უახლოეს ხანებში ჩაბარებს დასავლეთ გერმანიის კლუბს „ჰამბურგს“, თავის თანამემამულეებთან კი იმუშავებს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დამთავრებამდე.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, თბილისი, ლენინის ქ. № 14. **დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-61; ოსტატის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უᲒ 13373